ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 13 1883—1893 15—30 იულისს.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების მე-XXXII კრება ქალაქ ქუთაისში 22, 23 და 24 ივნისს 1893 წ.

რიგის კრება იმერეთის სამღვდელოების დეპუტატებისა უნდა მომხდარიყო ამა წლის ოქტომბრის ანუ ნოემბრის თთვეში, მაგრამ რადგან სასწავლებლის პანსიონის დახურვის გამო ახალი ხარჯთ-აღრიცხვა იყო მოსალოდნელი სეკტემბრის თთვიდგან, ამისათვის ასე ადრე მოხდა ეს კრება. 22 ივნისს, კრების პირველ დღესვე, გამოცხადდა საკამო რიცხვი დეპუტატებისა სხდომის გასახსნელად. თავმჯდომარედ ამ კრებაზედ სამღვდელოებამ აღირჩია მღვდელი პლატონ ცაგარეიშვილი და საქმის მწარმოებლად მღვდელი ბესარიონ გოგსაძე. თავმჯდომარის აღრჩევის შემდეგ კრებაზე შემობრძანდა მათი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი და, ჩვეულებრივად, მისცა სამღვდელოების დეპუტატებს მწყემს-მთავრული დარიგება მათი მოვალეობის აღსრულების შესახებ, და შეუდეგ მათი მეუფება შინ წაბრძანდა.

მათი მეუფების წასვლისათანავე, სხდომა გაიხსნა და დეპუტატები შეუდგნენ საგირო კითხვების განხილვას. თავსმჯდომარემ წაიკითხა რაპორტი დეკანოზის ცაგარეიშვილისა, მრთმეული მღვდელ-მთავრისადმი, რომელშიაც ითხოვდა სამღვდელოების კრებისაგან, რათა სამღვდელოებას იმერეთის ეპარქიის დედათა

სასწავლებლისათვის 10,000 მ., რომელიც სამ-ფლოდგელოებამ ერთ თავის წინა კრებაზედ უკვე გარდასცა სასწავლებელს, მაგრამ სასულიერო სასწავლებლის სამმართველო არ იძლევა ამ ფულებს, ვითომ იმ მიზეზით, რომ ეს ფულები შეადგენდეს სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის საკუთრებას. ამასთან ამავე რაპორტში ითხოვდა მ. დეკ. ცაგარეიშვილი სამფლოდელოების კრებისაგან, რომ სამფლოდელოებას დაენიშნა კომიტეტი ქალების სასწავლებლის შენობის გადასაკეთებლად, იგი ითხოვდა აგრეთვე პანსიონის გახსნას დედათა სასწავლებელში ჯ წინადადების მიცემას გურია-სამეგრელოის ეპარქიის სამფლოდელოებისადმი, რომ იმანაც მიიღოს მონაწილეობა ამ დედათა სასწავლებლის შენახვაში. კრების თავმჯდომარემ, დეკ. ცაგარეიშვილის თხოვნით, პირველად ეს რაპორტი წაიკითხა ჯ თხოვდა კრებას, რომ პირველად ეს რაპორტი გარჩეულიყო ჯ გარდაწყვეტილიყო.

დეპუტატი დეკ. დ. ღამბაშიძე. პირველად უნდა გაირჩეს ჯ გარდაწყდეს ის საპატიო კითხვები, რომელთა გარდასაწყვეტად უმთავრესად ვართ ჩვენ აქ მოწოდებულნი ჯ შემდეგ შეიძლება ამ საგანზე მსჯელობა. მე გთხოვთ, რომ პირველად წაიკითხოთ წინადადება სასწავლებლის პანსიონის დახურვის შესახებ ჯ სასწავლებლის ახალი ხარჯთ-აღრიცხვა ჯ ამაებზედ იქმნეს მსჯელობა.

დეკ. ბ. ცაგარეიშვილი. (არა დეპუტატთაგანი). მამანო დეპუტატნო! უმთავრეს საგნად მიმაჩნია ეს კითხვა ჯ სრული იმედია, ყველანი დამეთანხმებით ამაზე. მე ვითხოვ, რომ პირველად უთუოდ ეს აღძრული კითხვა იქმნეს გარდაწყვეტილი.

დეკ. დ. ღამბაშიძე. ყოვლად შეუძლებელია ამ კითხვის პირველად გარდაწყვეტა, ვიდრემდის სასულიერო სასწავლებელში პანსიონის დახურვის საქმე არ გარდაწყდება. თუ სასულიერო სასწავლებელში პანსიონი არ დაიხურა, ჩვენ, შეიძლება, მეტი ხარჯი მოგვეთხოვოს ჯ არავითარი ფულის გადაცემა არ შეგვიძლია ვაქების სასწავლებლიდგან ქალების სასწავლებელში. თუ პანსიონი დაიხურა აქ, მაშინ, შეიძლება, დედათა სასწავლებლის პანსიონს გარდაეცეს ბევრი გაუქმებული კრაოტები ჯ სხვა ნივთები. ამისათვის ეს კითხვა ყველა კითხვების ბოლოს უნდა იქმნეს გარჩეული.

კრებამ ერთხმად გარდაწყვიტა ამ კითხვის გარჩევა სხვა კითხვების ბოლოს.

შემდეგ აღიძრა მსჯელობა პანსიონის დახურვის შესახებ.

ამ საგნის შესახებ ბევრი მსჯელობა იყო, ბევრი იფიქრეს, თითქმის მთელი ერთი დღე ილაპარაკეს ჯ ბოლოს კრება ისევ წინა კრების მოსაზრებას დაადგა ამ საგნის შესახებ. წინა კრებაზედ გამოთქმული იყო ის აზრი, რომ პანსიონის დახურვით სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვას ემატებოდა 3500 მ. ჯ ამ კრებაზედაც ამდენივე გადარჩა. სამფლოდელოებამ გარდაწყვიტა ამ ფულებიდგან ცხრა-ცხრა მან. დანიშვნა თითოეულ ობოლ—ლარიბ შაგირდზე თვეში. პანსიონში ინახებოდა სახელმწიფო ხარჯით 30 ლარიბი შაგირდი. ეხლა 48 შაგირდს მიეცემა კერძო ბინაზედ საშუალება ცხოვრებისა. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ამ ფულით უმჯობესად ისაზრდოებენ შაგირდები კერძო ბინაზე, რადგან ჩვენებურად მომზადებული საჭმელი უფრო ერგება შაგირდს, ვინემ პანსიონში მომზადებული. მომავალ სექტემბრიდგან ლარიბ შაგირდებს საზრდო ფული დაენიშნებათ კერძო ბინაზე. ფულებს დაუნიშნავს მოწაფეებს სასწავლებლის სამმართველო.

შემდეგ პანსიონის დახურვისა, შეუდგენ მომავალი წლის სასწავლებლის ხარჯთა-აღრიცხვის განხილვას. სასწავლებლის სამმართველოსაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა განიხილა ჯ დამტკიცა კრებამ ცოტა რამ ხარჯის შემცირებით.

ხარჯთ-აღრიცხვაში, სხვათა შორის, მოუვანილი იყო სასწავლებლის ეკლესიის შესანახავი ხარჯი 100 მ., რომელიც სამდვდელოებას ეთხოვებოდა ჯ სასწავლებლის მდვდლის ჯამაგირად 200 მან. ამ ხარჯების გამო დიდი ბაასი ასტუდა კრებაზე,

დ. დ. დამბაშაძე. სასწავლებლის ეკლესია მართო სასწავლებელს თითქმის არ ეკუთნება; ის არის მდვდელ-მთავრის კარის ეკლესიათ ჯ მასში ბევრი გორაზე მცხოვრებიც დაიარება. ნუ თუ ასე დარიბია ეს ეკლესია, რომ ზედაშესეფისკვრის ჯ სანთლის ფული არ შემოდის? ამას წინეთ სამდვდელოებას სთხოვდენ ვიდაცა ქართული ენაზე კითხვის მცოდნე ბრიჩეტნიკისათვის 50 მ. იმ შრომისათვის, რომელიც მას მოსდიოდა სასწავლებლის ეკლესიაში ლოცვების კითხვით. ამ თხოვნამ მე მომაგონა ერთი რუტა შემდგარი ურია სალდათებისაგან, რომელიც სამძღვარზედ იგზავნებოდა ჯ რომელიც გუბერნატორს სთხოვდა 10 უაზარი რუსის გატანებას გზაში. ერთ ადგილას ტუე უნდა გავაროთო და, თუ ავაზაკები დაგვხვდენ ამ ტუეში, ეს უაზარები გვიშველიანო! მართლა, სირცხვილი არ არის მეოთხე კლასის შაგირდებისათვის მედავითნეებს ვქირაობდეთ ხოლმე? ნუ თუ შაგირდებს არ შეუძლიათ, რომ თვითონ მოეხმაროონ მდვდელს წირვა-ლოცვაზე? ნუ თუ ეკლესიას სრულებით არავინ ჰყავს მიმხედველი, რომ იმდენი შეაგროვოს სანთლისა ჯ შეწირული ფული, რომ სამდვდელოებას ადარ ეთხოვებოდეს მისი შესანახავი ფული? ვსთქვათ, ამ ეკლესიას ადარავინ ჰყავს მზრუნველი ჯ არაფერი ადარ აქვს; ნუ თუ ზედაშეზე ჯ სეფისკვერზე საჭირო არის წელიწადში ასი მანეთი? ამ ეკლესიაშიდ წელიწადში რომ იწიროს 50-ჯერ, მეტი არ მოხდება. იანგარიშეთ, 50 ნახევარი ბოთლი ღვინის ფასი რას შეადგენს ჯ 250 სეფისკვრისა სამ სამი კაპეიკი?—სულ შეადგენს 15—17 მანეთს. რა საჭიროა ამისათვის 100 მანეთი?

სამდვდელოებამ ეკლესიისათვის გარდაწყვიტა 20 მანეთი სეფისკვრისა ჯ ზედაშესათვის.

მე-XXIX სამდვდელოების კრებაზედ დეპუტატებმა გარდასწყვიტეს, რომ სასწავლებლის ეკლესიის მდვდლად, მოძღვრად ჯ ეკონომად დანიშნულიყო სემენარიაში კურს დამთავრებული, მაგრამ სასწავლებლის მთავრობამ არ ისურვა სემენარიელი მდვდლად ჯ ერთი პროგემნაზიაში კურს დამთავრებული აირჩია ეკონომად ჯ სასწავლებლის მოძღვრადაც. დღეს სამდვდელოებამ ეკონომის თანამდებობა გააუქმა ჯ რუსეთის სასწავლებლების მიხედვისამებრ, სადაც სასწავლებლის მოძღვრებად მდვდელ-მონაზონებს ნიშნავენ, აქაც, ქუთაისის სასწავლებელშიაც, შაგირდების მოძღვრად ჯ ეკლესიაში მწირველად დანიშნა მათი მეუფების ეკონომი ჯ კარის ეკლესიის მწირველი მდვდელ-მონაზონი გრიგორი, რომელსაც დაუნიშნა შესაფერისი ჯამაგირი.

— თანაშემწე სასწ. ზედამხ. ი. გ—შვილი. მ. დეკანოზის სიტყვის შესახებ იმის გამო, რომ, ვითომც ჩვენ მკითხველი მედავითნე დაგვექირავებინოს შაგირდებისათვის, მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას. არასოდეს არ დაგვიქირავებია ჩვენ სასწავლებლის ეკლესიაში მკითხველი მედავითნე ჯ არასოდეს არ ყოფილა საჭირო ჩვენთვის. ის მედავითნე, რომელსაც სამდვდელოებამ ხუთი თუმანი მიცა, კათედრის სობოროს მედავითნე იყო ჯ ზოგიერთმა პირებმა შემწეობა ადმოუჩინეს ჯ ტუეილა ამოვინეს სამდვდელოებისაგან ფულები. სასწავლებლის შაგირდები ყოველთვის კითხულობდენ და დღესაც კითხულობენ საეკლესიო წიგნებს ეკლესიაში და მათთვის მედავითნე სრულებით საჭირო არ არის.

(დასასრული შემდეგში).

მწარე ფიქრები.

კონსტანტინეპოლის ბერძნული გაზეთი «ნელოგოს»-ი იუწყება, რომ ბოლგარიის ექსარხოსს განუზრახავს ბოლგარიაში და მაკედონიაში რომთან უნიის *) შემოღება. როგორც გვარწმუნებს გაზეთი, რომთან მოლაპარაკება იმ ზომამდე მისულა, რომ ექსარხოსი აპირებდა რომში გამგზავრებას პაპასთან, მაგრამ პორტამ გაუგო ეს განზრახვა და აღუკრძალა კონსტანტინეპოლიდამ გასვლაო. ამისათვის ბოლგარიის ექსარხოსმა გადასდო რომში წასვლა.

—

ეს ამბავი, თუ მართალია, ძლიერ სამწუხაროა ყველა მართლ-მადიდებელთათვის. დღეს იქნება, თუ ხვალ ბოლგარიის ერის მმართველობა სარწმუნოების შესახებ დროთა ვითარებისა გამო სულ სხვანაირად შეიცვლება. ბოლგარიის ერს არ უნდა თავის თვითარსებობის დაკარგვა. ოთხასი წელიწადი სლავენთა ერი თათრის უფლების ქვეშე იტანჯებოდა და წვალობდა. არავის არ ეგონა, რომ ბოლგარელებში სრულებით მკვდარი არ იყო ეროვნული და თვითარსებობის გრძნობა. მაგრამ წარმოიდგინეთ, ამდენი ხნის განმავლობაში არა თუ მომკვდარა, არამედ დიდის სიმტკიცით დაცულა და შენახულა ეს ძვირფასი თვისება ხალხისა. ყველასათვის ცხადია, თუ რა აიძულებს ბოლგარიის სამღვდელოებას და ერს რომის პაპის ეკლესიის თავად აღიარებასა...

წინეთ ოთხ მილიონზე მეტი მართლ-მადიდებელი გალიციელები მიეკედლენ რომის პაპის მფარველობას. ბოლგარიამ და მაკედონიამ თუ ეს განზრახვა შეასრულა, მართლ-მადიდებელ ეკკლესიას მოაკლდება თითქმის რვა მილიონი სული. ჭეშმარიტად დიდი პასუხის მგებელი იქნება, ვინაც შეიქმნება მიზეზად ამდენის სულის განშორებისა მართლ-მადიდებელის ეკკლესიისაგან.

ყოველივე უბედურების მიზეზად, რაც კი თავს ჰხდება ბოლგარიას, ზოგიერთნი ასახელებენ ვითომ სტამბულოვს,—იმ სტამბულოვს, რომელიც სასულიერო სემინარიის მესამე კლასიდამ ყოფილა გამოსული. მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ეს მესამე კლასიდამ გამოსული პირი, ბ. სტამბულოვი ასე მარჯვედ ჰმართავს ხუთ მილიონ ხალხს. საკვირველი არის, რომ კიდეე ვერ მიმხვდარან ზოგიერთნი, რომ საქმე სასწავლებლის დამთავრებაზედ კი არ არის დამოკიდებული, არამედ კაცის ნიჭსა, გამჭრიახობასა და მოხერხებაზე. განა ცოტანი არიან იმისთანა პირნი, რომელთაც არა თუ საშუალო და მაღალი სასწავლებელი არ დაუმთავრებიათ, არამედ წერა-კითხვაც არ სცოდნებიათ, მაგრამ შესანიშნავი პირები ყოფილან? აიღეთ, თუ გინდ მაჰმადი, იმან ხომ წერაც არ იცოდა და გადაავლეთ თვალი მის ურიცხვ მოწაფეებს!...

დიახ, სამწუხარო მოელენათა ეხედავთ და მართლ-მსჯელობას და შორსგამჭერეტელობას მოკლებულნი ვართ...

***

ამას წინეთ ერთ პირთან გვქონდა ბაასი იმის შესახებ, რომ ეკკლესიაში ამ უკანასკნელ დროს ხალხი ძალიან ნაკლებად დაიარება წირვა-ლოცვაზე. ამ პირს ჩვენ ჩამოვუთვალეთ მრავალი მიზეზი ხსენებული სამწუხარო მოელენისა. მაგრამ მას უმთავრეს მიზეზად მიაჩნდა მღვდლების უსწავლელობა. „როგორ უნდა იმღვდლოს ისეთმა პირმა, დიდის მწუხარებით გვითხრა მან—რომელსაც საეკკლესიო საბუთის რუსულად დწერა და შედგენა არ შეუძლია?! ვისაც ეხლანდელ სასწავლებლების პირველი კლასი მაინც შეუსრულებია, მას რასაკვირველია რუსული ენა შეწავლილი ექნება და საბუთის დაწერაც უნდა ეხერხებოდეს; და თუ ამდენი სწავლა კაცს არ შეუძენია, ის, რასაკვირველია, ვერც კი იმღვდლობს». ჩვენ მოვახსენეთ ამ პირს, რომ უმეტესი ნაწილი წმ მოწამეთა და სხვა ღირსთა მამათა, რომელთა გვამნი ნაწილად და თაყვანის საცემად დაგვრჩენია, თითქმის მოკლებულნი ყოფილან ეხლანდელი დროის სწავლის მიღებას და საბუთების შედგენაც ეხლანდელის დროის მოთხოვნილებისაებრ დიდათ საძნელო იქნებოდა მათთვის. გასაოცარი არის, რომ ქალაქებში, სადაც მღვდლები სემინარიელები და აკადემიელები არიან და მშვენიერადაც სწერენ, იქ წირვა-ლოცვაზე ხალხი უფრო ნაკლებად დადის, და მიყრუებულ სოფლებში კი, სადაც მღვდელს ბატის ფეხურად შეუძლია მხოლოდ ხელის მოწერა სხვისაგან დამზადებულ და დაწერილ საბუთებზე, თუ აღრე

*) უნია ნიშნავს თავის ეკკლესიის ტიბიკონით რომის პაპასთან დაკავშირებას და ეკკლესიის თავად პაპის აღიარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მიასწარი ეკკლესიაზედ, მერე ვერც კი შეხვალ მასში, ისე არის ხოლმე გაჭედილი მლოცველებით. ძლიერ გაუკვირდა ამ პირს ჩვენი ნაამბობი და პირველად არ სჯეროდა. არ სჯეროდა, იმიტომ რომ ჩვენში, საუბედუროდ მართლის თქმას ყველა ერიდება. ამას წინეთ ერთი უცხო საპატიო პირი შესულიყო ეკკლესიაში და რომ მლოცველები მცირეოდენი შეენიშნა, ეკითხნა მოძღვრისათვის, რა მიზეზია, რომ ასე ცოტა მლოცველი მოსულაო. «დიდი ხანი არ გახლავთ—მიუგო ამ მოძღვარმა, რაც ჩვენში დაარსდა ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება». ვითომ და ამ საზოგადოების დაარსებამდე ჩვენში ქრისტიანობა არ ყოფილა!...

არასოდეს არ დაგვავიწყდება ერთის პატივსაცემი მღვ—რის სიტყვები, რომელიც მან სამღვდელოების კრებაზედ წარმოსთქვა: «პირველ მოსვლაზე ეპარქიაში რ—ში ვნახე სწორედ ჭეშმარიტი ქრისტიანები. მათში ვნახე ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული, სარწმუნოება, სასოება და ზნეობა. ვსთქვი რომ, აი სწორედ აქ არიან პირველის საუკუნის ქრისტიანები-თქო. ოც-და-რვა წელიწადია, რაც ვუქადაგებ მათ, ოც-და-ათი წლის შემდეგ ეს ხალხი მე ველარ ვიცანი: მაგრად გაუდგამს აქ ფესვი სიძულვილს, შურს, მტრობას, ბოროტებას; შესუსტებულა ზნეობა და სარწმუნოება. რისი ბრალია ეს? რას მივაწეროთ?» აი ჭეშმარიტად კითხვა, რომლის ასახსნელად ყველანი ღრმად უნდა ჩავფიქრდეთ!...

ყოველმა ებრაელმა მშვენივრად იცოდა ათი მცნება და ნიადაგ თვალის წინ ედგა იგი. მრავალ გზის უხსნიდა და უმარტებდა მოსე წინასწარმეტყველი და ყოველს თავის მოძღვრებას სასწაულებით უმტკიცებდა ებრაელებს, მაგრამ ჰქონდა თუ არა ამას გავლენა ებრაელების ზნეობაზედ! იქცეოდნენ თუ არა იგინი ათი მცნებისამებრ? არ იქცეოდნენ და ამისათვის ისჯებოდნენ კიდევაც.

ნიადაგ წინ გვიძევს სახარება და უმაღლესი მოძღვრება მაცხოვრისა, ათასჯერ წაგვიკითხავს მცნებანი უფლისანი, მაგრამ ვიქცევით თუ არა მცნებათაებრ? არის თუ არა ჩვენში ძმობა, ერთობა, და ქრისტიანული სიყვარული? ძლიერ მცირე. ებრაელებს მიეტევება მათი შეცდომა, ჩვენ, ქრისტიანებს კი არა. დავსცინით და ვაუგებთ ებრაელების დროის ფარისეველებს და ჩვენ თვითონ ძვალსა და რბილში გაგვჯდომია ფარისევლობა. ეს არის მიზესი, რომ ჩვენ სიტყვა-მოძღვრებას გავლენა არა აქვს...

* * *

„ეკრძალენით ქველის-საქმესა თქვენსა, რათა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათდა. ხოლო რაჟამს იქმოდე ქველის-საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა იგი ორგულთა ჰყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რათა იდიდნენ კაცთაგან, ამინ გეტყვით თქვენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი. ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქველის-საქმესა, ნუ სცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდეს მარჯვენე შენი». (მათ. თ. 6 მ. 1—5).

აი რას გვიბრძანებს ჩვენ წმიდა სახარება. ვასრულებთ ამ სახარების სიტყვებს? გვიყვარს საიდუმლოდ ქველის-საქმის ასრულება? ასში ერთს. ჩვენი კეთილი საქმე ჯერეთ უნდა გავავრცელოთ და გამოვაქვეყნოთ სიტყვიერად, ნაცნობების და მეგობრების წყალობით, შემდეგ გაზეთების წყალობით უნდა შევატყობინოთ მთელის სახელმწიფოის და დედამიწის მცხოვრებთა. შეიტყვეთ ყოველთა ჩვენი მოქმედება და საქციელიო, იცოდეთ ყველამ, რომ ჩვენ ამისთანა ქველის-საქმე ჩავიდინეთო. გასაოცარია მაინც ეხლანდელი დროის ფარისევლური თავის ქება. ერის კაცობაში ამ სამწუხარო მოვლენას ყოველთვის ჰქონდა ადგილი, მაგრამ სასულიერო წოდება მაინც შორს იყო მისგან. ეხლა, სამწუხაროდ, ეს სენი მასაც გადაედო. გადაათვალიერეთ საიუბილეო დღესასწაულებანი სხვა-და-სხვა პირთა, წაიკითხეთ ქების შესხმითი სიტყვანი. რას არ გაიგონებს და რას არ მოისმენს კაცი ამ სიტყვებიდგამ! ერთი ამბობს: «შენ ხარ სჯულთა მეცნიერი, ყოველივე კანონის და მათის განმარტების მცოდნე; საქმის გარდაწყვეტის დროს შენ ხელნძღვანელობდი სახარებითა და საღმრთო წერილითა; შენი სამართალი იყო სამართალი მსწრაფლი, მიუდგომელი და ჭეშმარიტი» და სხ.

მეორე ამბობს: «შენ ხარ სიქადული და სიხარული ყოველთა, მოწყალე და შემბრალე გაჭირვებულთა, უვეცხლო და უანგარო, ქვრივთა და ობოლთა შემწყალე, მწუხარეთა ნუგეშინის მცემელი, მშიერთა გამომზრდელი, შიშველთა სამოსელი, უსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოთა სახო, სნეულთა მკურნალი» და სხ. აეიწყდებათ ამ მჭევრ-მეტყველთ, რომ ამ სიტყვებით მიმართვა ხორციელის კაცისადმი შეუფერებელი და უადგილოა.

დიახ, საძაგელი დრო დადგა, დრო თავის ქებისა და ტრაბახობისა. ამ ნაკლულევანებამ ადამიანისამ ძლიერ ღრმად გაიდგა ფესვი. ეს სენი ხოლერასავით მოედო ყველას, მწერლებსაც და მეგაზეთებსაც. წინეთ რომ სასირცხოდ მიაჩნდათ ზოგიერთ მწერლებს თავის ქება და ტრაბახობა, დღეს თვითონ იქებენ თავის თავს სხვა და სხვა ფსევდონიმების საშუალებით. ორი მწერალი ერთი ერთმანეთს ჰპირდებიან ქება-დიდებას. მაგალ. ბაშირი აქებს ჰამზას, მისთვის რომ ჰამზა აქებს ბაშირს. სანო აქებს სტეფანეს და სტეფანე სანოს...

თვით რედაქტორებიც რომ შეიცვალენ! ერთი პატივცემული რედაქტორი ამას წინედ სწერდა: თქვენს წერილს ვერ ვბეჭდავთ, რადგან ცოტა რამ ქება არის ჩვენ შესახებაო და სირცხვილია ჩვენი ქება ჩვენსავე გაზეთში დავბეჭდოთო. დღეს დრონი იცვალნენ! ეს აზრი დაძველდა. აი ეხლა იმავე გაზეთში რას ვკითხულობთ:

«დაჰკრა სასურველმა წამმა და კახელებს მიეცათ საშუალება, პატივი სცეს საქართველოს საუკეთესო მამულიშვილს, ერის იმედს და სიქადულს, თავადს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს»...

ყველანი დამეთანხმებიან, რომ მთავარი მიზეზი ჩვენის აქ შეყრისა არის პირადი სურვილი თვითოეულისა, საერთო სურვილად გარდაქცეული,—გვენახა ჩვენი ძვირფასი და მასთან იშვიათი სტუმარი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე და ხანგრძლივ გვეყურნა მისთვის, რომ სამუდამოდ შთაგვებეჭდა მისი სახე გულში“...

თქვენ, დიდებულო მამულიშვილო, გაქვთ მონიჭებული ციური ძალა, რომელიც ძალთა მძლეობს, თქვენა გაქვთ მონიჭებული ზეგარდმო ნაპერწკალი, რომელიც უცეცხლოდ უარესად სწვავს, რასაც შეეხება...

კაცმა რომ იკისროს თქმა იმისი, თუ ი. გ. ჭავჭავაძე ვინ არის, თვით ის კაცი ძალიან ჭკუიანიც უნდა იყოს, განათლებულიც და ლიტერატორიც, მომეტებულად ქართულ ენაზედ, მასთან—მჭევრმეტყველიც... ამ კაცმა ჩვენი ქვეყანა ყოვლის მხრივ აღწერა და გააცნო მთელს ხმელეთსა (sic!), ვინ ვიყავით ჩვენ ქართველნი წინა დროსა; ქართლის დედას ნანათი ათქმევინა ჩვენი წარსული და აწმყო, ბედი და უბედობა... შენ ხარ სასიქადულო და საყვარელი, შენნით თავს ვიქებთ მისთვის, რომ თვითონ შენ სიმართლე ხარ, გაქებთ და გადიდებთ (უკუნითი უკუნისამდე ამინ—ალბად შემთხვევით დავიწყებიათ)...

მე საჭიროდ არა ვრაცხ ჩამოვთვალო ყველა ღირსებანი ამ დიდ ბუნოვანი (?!) კაცისა, რადგანაც ყოველს ქართველს კარგად აქვს გაცნობილი მისი მოღვაწეობა და ის ქართველი კი, რომელმაც ეს არ იცის, ქართველად არ ჩაითვლება...

დღეს მთელი თელავის ქართველობა ლიტანიობს (წმინდაო ილიას გალობით) და ასრულებს შეძლებისა გვარად (და არა ღირსეულად), თავის წმინდა (თუ წმიდა) ვალსა. ამისი მოწამეა აქ დამსწრე საზოგადოება და ზეცას უხილავნი არსებანი, რომელნიც თელაველებთან ერთად ღაღადებენ...

ძალა, რომელმაც შეგვკრიბა დღეს ჩვენ აქ, გახლავთ პირდაპირი მოვალეობა ყოველის ქართველისა—პატივი (და თაყვანი) სცეს იმას, რომელმაც სრული (!) თვისი სიცოცხლე განატარა საქართველოს ერის საქმეთა გაძღოლაში; შესწირა თვისი პირადი ინტერესი საზოგადოებისას, იტვირთა მძიმე დროშა ერისა და აქამომდე გამარჯვებით ატარა... ერთი მიბრძანეთ, ვინ არ გაფაქიზდება სულით, გულით და მიმართულებით, თუ-კი შეითვისებს და შეისისხლხორცებს მცნებას გამოთქმულს თავ. ილიას ნაწერებში. ამიტომ თავ. ილია ღირსია სრულის თაყვანებისა და მადლობისა». (კიდეც ამისათვის ესწერდით: არა არს ღმერთი თვინიერ ღვთისა და წინასწარმეტყველი მის იარს ილია-თქო). (იხ. «ივერია» № 129).

ჩვენ მოგვყავს ეს სიტყვები თ. ი. გ. ჭავჭავაძის გაზეთიდამ. მკითხველი თვითონ მიხვდება, რამდენად შეესაბამება ეს თავის ქება სახარების სიტყვებს და ადამიანის ღირსებას. სამწუხარო მხოლოდ ისაა ამ შემთხვევაში, რომ ეს პირში მაქებარნი თავისის ქებით და დიდებით დიდათ ამდაბლებენ ბ. ი. ჭავჭავაძეს საზოგადოების თვალში, მეტადრე მით, რომ ამ ქება-დიდებას მისავე გაზეთში ბეჭდავენ. აი ეს არის სასირცხო და სასაცილო და ყბად ასაღებიც და წყალ-წასაღებიც, თუ გინდა და არა ის, რომ «მწყემსი»-ს რედაქტორმა მადლობა შესწიროს ღმერთსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

50 წლის სიცოცხლისა და 25 წლის შეძლებისა-დაგვარად ეკკლესიის სამსახურისა და საზოგადოებას 10 წლის განმავლობაში გაზეთის გამოცემის საქმეში შემწეობისა და თანაგრძნობის აღმოჩენისათვის.

ყოველივე ამისთანა შეხედულების მიზეზი არის ფარისევლური სიმჟავე, რომელიც ეხლანდელ დროში ასე გასჯდომია ძვალსა და რბილში ყოველ ადამიანს.

არ შეგვიძლია ამ თელავში გამართულ მშვენიერის ნადიმის შესახებ არა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. სწორედ ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ იმ დროს, როდესაც გვერდით შიმშილით მომაკვდავ ადამიანს ჰხედავს და თვითონ კი შვება-ლხენას ეძლეოდეს, არიარალოს და თარიარალოს იმღეროდეს მშვენიერის კახურის ღვინით გაბრუებული. რა სამწუხარო სურათია: ერთის მხრით შიმშილისაგან დაწუხებულ ადამიანთა გროვა, მწარე მწუხარება და ღრჭენა კბილთა და მეორეს მხრით საქართველოს იმედი—ახალი მცნების მომცემი, ერთად შეკრებილი მოწინავე რაზმი, მწუხარეთა ნუგეშინის-მცემელი, მშიერთა მაზრდოებელი, უსასოთა სასოება, თანამოძმეთა წყლულის მკურნალად გამზადებული, კახური ღვინის გასაღების გზის გამკვლევი, და მშიერ მოძმეთა მწუხარების გასაქარვებლად მაყრულის მომღერალი.

აზიის ერთ ადგილას სულის ამოხდენის დროს მომაკვდავს უმღერიან და ჰფიქრობენ ამ მღერით სიკვდილის წვალება შეუმცირონ მას. მადლობა ღმერთს, ჩვენშიდაც ვხედავთ აქა-იქ ამ საქციელის მიმდევართ... რუსეთის დამშეული ხალხის გულისათვის ნადიმები და ქეიფობა შარშან წინ ყოველგან მოსპობილი იყო, მაგრამ ქიზიყ-კახეთში, ხომ რუსები არ ცხოვრებენ!... ჭეშმარიტად „შევისისხლხორცეთ“ ყოველი მცნება და სწავლა-მოძღვრება «საქართველოს იმედი»-სა:

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

***

თფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ბ. თეოდორე ჟორდანია «საქართველოს მოამბის» მე-13 №-ში მოგვითხრობს, რომ სემინარიის რექტორს გამოუცდია სემინარიასთან დაარსებული ერთ-კლასიანი სავანგებო(?!) სამრევლო სკოლის მოწაფენი, დიდათ ნასიამოვნები დარჩენილა მოწაფეთა წარმატებით და იქვე მადლობა გამოუცხადებია, სკოლის გამგის, სემინარიის პედაგოგიკის მასწავლებლის თეოდორე ჟორდანიასათვის...

უღირსი სოფლის მღვდელი.

ვუძღვნი მოსწავლე ქართველობას.

ისწავლეთ, ყრმანო, დრო არის სწავლის, აწ აღარა ხართ უსუსურები,
ბუნებამ უხვად შეგამკოთ ნიჭით, აცქვიტეთ, ნორჩნო, სმენად ყურები.
სწავლა მერმისშიდ გაგიტკბილდებათ, არ დამირჩებით უმადურები,
სწავლით მოიმკით მეცნიერებას, სწავლით გახდებით სიბრძნის ჭურები.

პირველ ყოვლისა ადიდეთ ღმერთი, გახსოვდესთ, მასშიდ სუფევს სამება;
არ დაივიწყოთ კაცთა ხსნისათვის ნაზარეველის ჯვარზედ წამება,
მტკიცეთ დაიცვთ სარწმუნოება, თუ რომ გნებავდესთ სულით ჰამება,
ვინც აქა თქმულებს არ აღასრულებს, იგი ცხოვრებით მოიშხამება.

ვიცი წინასწარ, როგორც ქართველნი განისწავლებით თქვენ დედა ენით
მას უკან გირჩევთ, უცხო ენების სწავლას წყურვილით დაეწაფენით;
რა დაამთავროთ თქვენი მიზანი, სამშობლოშიდვე დაბრუნდით ფრენით,
ხალხი წყვდიადის მორევშიდ ბრუნავს, სიბნელისაგან გამოიხსენით.

სწავლით გონების განვითარება კაცის დიდების საფეხურია,
სწავლას მპარავი ვერ წარიპარავს, არც ძალადობით სატაცურია,
სწავლა აშუქებს კაცობრიობას, ის უმეცრების სანათურია;
ხალხით სავსეა ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ჯერ ვითომ უკაცურია.

თუმცა ამ ჟამად გვყავს ორი-სამი მაღალის სწავლით მომზადებული.
მათგან პირველი მამულისათვის იღვწის და ზრუნავს თავდადებული,
დღისით აკეთებს საერთო საქმეს, სიწმინდის გრძნობით გატაცებული,
ღამით სხივსა ჰფენს თავის ერობას მისგან ლამპარი განათებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი არ ეძებს სიმდიდრის პოვნას, ის ოქროს ბრჭყიალს არ ემონება,
დიდებულია მისი მიზანი, შორე დაფრინავს მისი გონება,
მოძმის სახმარად გარდაუდვია, რაც აბადია მთელი ქონება;
ამისთანა შვილს მისი მშობელი მკერდშიდ ამაყად ჩაეკონება.

ხშირად ათენებს ღამეს უძილოდ ის საზოგადო მოღვაწეობით,
თავის სამშობლოს ემსახურება დაუღალავის მაღალ-ზნეობით,
მირბის, მიჰქროლავს, შორს სარბიელზედ იმედს არ ჰკარგავს უშემწეობით,
დანიშნულების მისაღწევნელად გამკლავებულა სულის მხნეობით.

მეორე რაზმი მისს წინაალმდეგ ჩვენ დაგვიხატავს არა რაობას,
რაღაცა სულით დამდაბლებულა და აღარ მოჰგავს ახალს თაობას.
ვხედავთ ამაშიდ ვერცხლის სიხარბეს გაბოროტებულს სულით ავობას,
მამულისადმი უზრუნველობას და ათას ფერადს სხვა და სხვაობას.

ის არ ეძიებს ერის სიმდიდრეს, საკუთარს ჯიბეს ემსახურება.
მას ვერ მოალხენს ხალხის დიდება, ვერც დაანაღვლებს განადგურება;
მოყვასთა ჭირი მისთვის შვებაა, ქვრივ-ობლის კვნესა არ ეყურება;
ღარიბს ზურგს აქცევს, მდიდარს თაყვანს სცემს, თავზედ ევლება, ეფათურება.

ის აღარ წაჰგავს ძველებურს ქართველს, შესცვალა სრულათ თავისი ფერი,
დაჰკარგა ნდობა მან ხალხოსნობის და სიყვარული ამ სოფლიური,
სიტყვით სამშობლოს არის ერთგული, საქმით ძირს უთხრის, მუხთლობს ცბიერად,
მოძმეთა ძარცვავს, მოყვასთა სტანჯავს, მაგრამ ვერა სცნობს კიდევ მას ერი!..

აწ, როცა მამულს დაუბრუნდებით მზა, აღჭურვილნი მეცნიერებით,
მაშინ დასტკბებით სულით და გულით მის გარეგანის მშვენიერებით;
ეს ორი რაზმი წინ დაგიხვდებათ, თვალი ადევნეთ გონიერებით;
სრული ნება გაქვსთ, ერთი მათგანი აღმოარჩიოთ თქვენივე ნებით,

მაგრამ ვიშიშვი, თუ გამიცრუვდა თქვენგან იმედი გულს ჩანასახი;
და აღმოირჩიეთ ისეთი რაზმი, ვისაც წილად ხვდა წყევა და ზრახი;
უსასო ქართველს მაშინ ათასჯერ განუმრავლდება ოხვრა და ახი;
მისთვის უკუღმა დატრიალდება წაღმა მბრუნავი ბედისა ჩარხი.

თქვენ ეჭირვებით ეხლა სამშობლოს, მოდით და მის წინ მოხარეთ ქედი,
შეუმსუბუქეთ ტვირთ დამძიმებულთ, თქვენ ხართ იმისი წინამორბედი.
ნუ დაუკარგავთ სახელს ქართველებს, ძლევამოსილის აზის ბეჭედი.
დროს ვითარებით სოფლისგან ტანჯულს კვლავ შეარიგეთ გამწყრალი ბედი.

თავადი სიმონ გუგუნავა.

ფუფუნება

(გაგრძელება *)

აი რაში მდგომარეობს ქვეყნის გადოვლათიანობის შესახებ განსხვავება. როცა სამეჯლიშო სანთლები დააქრეს ჩვენის გულუხვის მასპინძლის ოჯახში, რა დარჩა მეჯლიშითგან?—არაფერი, ხშირად კი მხოლოდ გულდაწყლულებული თავმოწონობა, დატვირთული სტომაქები და აშლილი საგრძნობლები. საზოგადოების კაპიტალი შემცირდა ორკეცად: შემოიფლანგა საჭმელ-სასმელები და ადამიანის ძალები. პირიქით, როცა დამთავრებულთა სასარგებლო სასამუშაო, რომელსაც იმდენი სასაქმო მიეცია შრომისათვის. რჩება მორწყულ-განაყოფიერებული, ანუ გამშრალებული და საუკეთესოთ გაპატიებული სახნავ-სათესი მინდორი, რომელიც იძლევა უფრო მეტს პურს, ტყე უკეთესათ დაცული და უფრო ბევრის ხე-ტყის მასალის მომცემი, გაწყობილი ახალი მან-

*) იხ. «მწყემსი» 11, 1893 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანა და სამუშაო იარაღები,—რომელნიც აწარმოებენ უფრო ბევრს საქარხნო ნაწარმს, ახლად გაყვანილი რკინის გზის რტო, რომელიც ეზიდება ხალხს და საქონელს აქეთ-იქით უფრო იაფად და სხ. და სხ. ერთი სიტყვით ქვეყანა მდიდრდება და უფრო მაწარმოებელი ხდება. სასმელ-საჭმელი, ჩაცმა-დახურვა იაფად ჯდება და რომ შემონაძენი კაპიტალი საქმეში ჩავარდეს, გაჩნდება უმეტესი მოთხოვნილება მუშა ხელთა და სანამუშევროც ზევით იწევს. მომუშავისთვის, მაშასადამე, გამოდის ორკეცი სარგოება.

აი კიდევ სხვა სარგოებანი. დასაჯერებელია, რომ ერთი და იგივე ფული, საფუფუნოთ დახარჯვის მაგიერ, მიმართულია სასარგებლო ხარჯებზე, შეინახავს ერთსა და იმდენსავე რიცხვს მუშებისას როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში. მაგრამ სოფელში ამდენისავე ფულით კარგათ გაისაძლისებს უფრო მეტი რიცხვი მუშებისა, იმიტომ რომ სანამუშევროქისა სოფელში უფრო ნაკლებია, ცხოვრება კი უფრო იაფია. ამის გამო იმავ ფულით ბევრათ უფრო მეტ მუშებს დაიქირავებდა კაცი. მეორედ, მიუცილებელის და სასარგებლო საგნების წარმოობა უფრო სამუდამოა, ვინემ საფუფუნო საგნების წარმოობა, რათგან უამუკანასკნელებოდ კი გაძლებს ადამიანი, უპირველებოდ კი ვერა. წარმოიდგინეთ, რომ რომელმანმე საპოლიტიკო ან საეკონომიო სათუობამ (კრიზისმა) შეარყია ნდობა და შეამცირა შემოსავალი; მაშინ ყველანი მომჭირნობას გასწევენ ყოლაფერზე უმალ ცრუ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ საგნებზე და ამიტომ უსამუშევროთ დარჩებიან საფუფუნო საგნების საწარმოებელი მუშები. მოდათა ცვალებანი ფუფუნების სამეუფოში ხდება აგრეთვე მიზეზად მრავალთ სატანჯველთა. ფლანდრიის სოფლებში ქალ-ვაჟები აკეთებენ ერთგვარ ბაბთებს, ვალანსიურად წოდებულთ. ამას წინათ მოდამ დაამჯობინა ბრუსელის და ვენეციური ბაბთები: ამის გამო ვალანსიულ მებაბთეების ხელფასი ძლიერ დაეცა და ისინი დღეს შიმშილით იტანჯებიან. იმაზედ სამწუხარო ძნელად თუ რამეა, როდესაც რომლისამე მემოდე მკერვალ ქალის ხუშტურმა და აჩემებამ უნდა დაამსხვრევინოს გარაები (რაზედაც ბაბთას ქსოვენ) ამ ნაზ, გაწურთნილ და დახელოვნებულ თითებში. ასე ამ გზით, ფუფუნება, კაპიტალის განვითარების შემფერხებელი, აძლევს მომუშავეებს ნაკლებს საშრომს და ნაკლებათ სანდო სამუშაოებს, ვინემ არის სასარგებლოთ მოსახმარ საგნების წარმოება.

ამბობენ კიდევ, ვითომც ფუფუნება ფულსატრიალებსო და არ აჩერებსო უსაქმოთ. ესეც ახალი უთავბოლობა. ფულის ტრიალს თავისთავათ არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ისე სწრაფათ ფული არსად არ ტრიალებს, როგორც საყომარბაზო წვანე მაუდზე. ერთნი წააგებენ, მეორენი მოიგებენ ხოლმე მილიონებს; მაგრამ ქვეყანას რა ემატება? დღეს ვინ-ლაა ისე ბრიყვი, რომ ფული ქილაში შეინახოს და მიწაში დაფლას? მაშასადამე ფული მუდამ ტრიალებს. მაგრამ ამასობაში უნდა ყურადღება მიექცეს იმას, თუ რას შვრება ფული, როცა ხელით ხელში გადადის, აწარმოებენ საგანძურს განკარგებას რასმე და აკმაყოფილებენ ჭეშმარიტს ადამიანურ მოთხოვნილებათა, თუ, პირიქით, აჩენენ აუარებელ უსარგებლობათა, რომელნიც აკმაყოფილებენ გრძნობიარობას, მედიდურობას და თავქარიანობას.

გაიფლანგა, ვთქოთ, შუშხუნაებისთვის ათიათასი მანათი: ფილოსოფოსი, თეოლოგი და ეკონომისტი კიცხვენ ამას. პირიქით, ჩერჩეტები ტაშს უკრავენ: ფული ხომ ამ ქვეყანაშივე რჩებაო? ახალი სიბრიყვე. რასაკვირველია, ფული რჩება, მარა ამ ფულში გამომეტყველი დოვლათი გაქრა იმ შუშხუნებთან ერთათ. ქვეყანაში იყო ორი კაპიტალი, ერთი ფულად, მეორე თოფის წამლად, რომელიც მოიხმარებოდა ამოსატეხათ ქვისნახშირის—თუ სხვა მადნეულისა, ანუ ქედ-გვირაბების გასაკაფათ, რათა გზებსა და ლოკომოტივებს გასასვლელი მისცემოდათ. როცა კი შუშხუნა დაიბუკა, დარჩა მხოლოდ ფული. მეორე კაპიტალი გაქრა ბოლოვით. მოხმარება ნიშნავს ყოველთვის სპობას. და ამასთანავე უნდა მიექცეს ყურადღება იმას, ამ მოსპობამ, სამუქაფოდ თვისდა, მოიტანა თუ არა დაკმაყოფილება რეალურ საჭიროებათა, ან შექმნა ახალი წარმოობის საშუალება? ყოველი მოხმარება შეადგენს არსებითათ მონაცვლეობას. თქვენ გაეცით არსებული საფასური; რა მიიღეთ სამაგიეროთ? თუ მიიღეთ ისეთი რამ, რაც ამაგრებს სხეულს და ამაღლებს სულს, გავითარებას ერთერთის, ან ორისავე ამ მხრით, ჰო, ეს კაი საქმეა. თუ მიიღეთ ის, რაც აღძრავს ხოლმე სიამაყეს და ცუდმედიდობას, ე. ი. არაფერზედ უარესს რასმე, მაშ ეს ცუდი მორიგებაა.

ამაებითგან გამოდის, რომ უგუნურათ და უკანონოთ იქცევა სახელმწიფო, როცა «გამოსაჩენებლათ» გაღებულის ფულების საშუალობით აძლევს თავის მოხელეებს ღონისძიებას გახდენ მაგალითათ ფუფუნებისა. ამით სახელმწიფო აფერხებს კაპიტალის გადიდებას, და მაშასადამე, მრეწველობის და ვაჭრობის ხელფასის აწევის წინსელას. უფრო სასურველია, პირიქით, რომ ეს საზოგადოებრიივის ხელთუფლობის წარმომადგენელნი ცხოვრებდენ სადათ და თავდაბლათ. ამიტომაც დემოკრატულ სახელმწიფოებში, შეეიცარიასა და ამერიკის შტატებში ჯამაგირებში უფრო ნაკლები განსხვავებაა, ვიდრე ჩვენში. დაბალი მოხელეები უფრო მეტ ჯამაგირებს იღებენ, ვინემ მაღლები, შედარებით...

ეს გზადაბნეული შეხედულობა ფუფუნებაზე ასეა გამოკვლეული, მაგრამ უწინაც ბევრნი იყვნენ და დღესაც ბევრნი არიან სწავლულები, რომელნიც ჰგონებენ, ვითომ ფუფუნება იყოს წყარო სიმდიდრის, არ კიცხვენ მას და ეიწყებენ, რომ იგი არის მიზეზი ზნეთხრწნილობის და დაცემულობისა.

ფუფუნება რომ სრულობითაც არ იყოს, მაშინ ღარიბები არ იქმნებოდენ. ეკონომისტებმა უნდა იხმარონ ყოველი ღონე, რათა ძირფესვიანათ ამოფხვრან ის შეცდომილი შეხედულება, ვითომც ფუფუნება ეკონომიურათ სასარგებლო იყოს, რაკი შრომას ასაზრდოებსო. ისინი უნდა ჩასჩიჩინებდენ საზოგადოებას, რომ ცუდმედიდობა, უქმობა და უსაქმობა გარყვნილება ილევენ დოვლათს, რაიცა შეიძლებოდა სასარგებლოდ ხმარებულიყო სხვას რაზედმე. სანამ ზნეობა განვითარდებოდეს იქამდე, რომ ყველა ასრულებდეს მის კანონებს, მანამდე ეკონომისტები უნდა უხსნიდენ საზოგადოებას, რომ ფუფუნება ნთქავს კაპიტალს მისს სათავეშივე, უმწიფარ პურსა მკის და ყოველ შემთხვევაში საზარალოა ეკონომიურათ; ნურას ვიტყვით აქ ზნეობითს და ფიზიოლოგიურ მაენებლობაზე.

პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საუურადღებოდ.

(წერილი მეხუთე)

გაკვეთილებისათვის ნუსხის შედგენა ყოველ დღისათვის საათობით თვითოეული კვირის განმავლობაში პირველ-დაწყებით სკოლებისათვის ადვილი საქმე არ არის. ყველა მასწავლებელს არ შეუძლია შეასრულოს ეს ისე, როგორც რიგია. ესთქვათ, მასწავლებელს ჰყავს სამი განყოფილება, რომელიც მოთავსებულია ერთს ეიწრო ურიგოდ განათებულს ოთახში, სკოლაში არ მოიპოვება ბევრი უსაჭიროესი სწავლაში დამხმარებელი ნივთები და საკლასო კუთვნილებანი, რისგამო მასწავლებელი იძულებულია ბევრი სასარგებლო ვარჯიშობა უარჰყოს ბავშვებთან. მასწავლებელმა ერთსა და იმავე დროს უნდა იმეცადინოს სამ განყოფილებასთან, რომელიც ცოდნით და გონება გახსნილობით ძრიელ განირჩევა ერთი მეორესაგან. ამიტომ, ამ გარემოებათა გამო, მასწავლებლის მხრით დიდი გამოცდილებაა საჭირო, რომ ყველა განყოფილების მოწაფეები, კლასში მეცადინეობის დროს, ყოველთვის მოუცდენელად საქმეში იყონ გართულნი. უეჭველია, რომ ყველა ეს გარემოება სახეში უნდა ჰქონდეს მასწავლებელს გაკვეთილებისათვის ნუსხის შედგენის დროს. სამ განყოფილებაში ამნაირად უნდა მეცადინეობდეს მასწავლებელი: ერთს განყოფილებაში თვითონ მეცადინობს რამდენიმე წამს, ამ დროს სხვა ორ განყოფილებას მისცემს მასწავლებლის დამოუკიდებლად შესასრულებელ სამუშაოს; როცა ამ სამუშაოს შეასრულებენ, მაშინ მასწავლებელი იმ განყოფილებას, რომელშიდაც მეცადინეობდა, დაუნიშნავს თავის თავად მასწავლებლის დაუხმარებლად შესასრულებელ სამუშაოს და გადავა სხვა განყოფილებაში, მოისმენს პასუხს მოწაფეებისაგან, მისცემს მათ კიდევ სამუშაოს და გადავა კიდევ სხვა განყოფილებაში. ამ ნაირად მასწავლებელი მუდამ გადადის ერთი განყოფილებიდგან მეორეში, მეორედგან მესამეში და ხელმძღვანელობას უწევს მოწაფეებს სწავლების საქმეში, ცდილობს, რომ არც ერთი მოწაფე უსაქმოდ არ დასტოვოს, არამედ ყველას მიაწვდინოს შესაფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისი სასულიერო საზრდო. როდესაც მასწავლებელს ამნაირად აქვს წარმოდგენილი სწავლების საქმე, ის ცდილობს, რომ გაკვეთილების ნუსხაში, რომელიც ყოველ კვირისათვის წინდაწინ უნდა შეადგინოს, მოაქციოს შინაარსი ყოველ საათში მეცადინეობისა თვითეულ განყოფილებისათვის. ამასთანავე მასწავლებელი უნდა აქცევდეს ყურადღებას გაკვეთილების ცვლას იმ რიგზე, რომელიც უფრო კეთილნაყოფიერია ბავშვების ჯანმრთელობისათვის, უნდა მიექცეს ყურადღება სხვა-და-სხვაფერობას გადაცემაში და იმ გარემოებას, რომელსაც მოითხოვს განსაკუთრებითი თვისება რომელიმე სასწავლო საგნისა. მაგალითად ისეთი საგნები, რომლის შესწავლა უფრო ძალდატანებით ყურადღებას ითხოვს მოწაფეთაგან, საჭიროა ისწავლებოდეს დილით, პირველ გაკვეთილზე, როცა ბავშვების გონება ფხიზელია და დასვენებული. შემდეგ ამათ უნდა მოჰყვეს ისეთი საგნები, რომლებიც უფრო ნაკლებ ძალდატანებას ითხოვს ყურადღებისას როგორიცაა წერა, ხატვა, ბალობა, გიმნასტიკა და სხ. საჭიროა, რომ ბუნების მეცნიერებიდგან ცნობები შეისწავლებოდეს გაზაფხულზე, ზაფხულზე ან ადრე შემოდგომაზე, როდესაც მასწავლებელს ადვილად შეუძლია უჩვენოს მოწაფეებს ცოცხალი ეგზემპლიარი მცენარეებისა, მწერებისა, ქვეწარმავალთა და სხვისი, რომელიც სხვა დროს არ მოიპოვება. თუ ამგვარი გეგმის დადგენა ყოველთვის არ შეძლება შეუცვლელად, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს შეადგენს უპირველესს საშუალებას, რომ უბრალოდ და უსაქმოდ დრო არ იკარგებოდეს და მასწავლებლის მოქმედებასაც ჯეროვანი შედეგი მოჰქონდეს. განსაკუთრებით პირველ-დაწყებით სახალხო სკოლებში, როგორც შენიშნულია საუკეთესო პედაგოგებისაგან, აუცილებლად საჭიროა დაწერილებითი გეგმა სწავლებისა, რომელიც წინდაწინ უნდა უჩვენებდეს მასწავლებელს, როგორც ზომათა და თვისებათა სასწავლო მასალისას, აგრეთვე სასტიკად მოფიქრებულის თანდათანობას, გონიერულად განხილვას, განრიგებას სასწავლო მასალისას.

ბევრს საუკეთესო პედაგოგებს ძალიან სასარგებლოდ მიაჩნიათ სწავლების საქმის წაყვანა კონცენტრიულ წესზედ; ეს წესი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იგივე წრე ცოდნისა ანუ ერთხელ გადაცემული მასალა განმეორდება რამდენჯერმე, თანდათან ერცელდება და იხსნება დაწვილილებით, ამნაირად სწავლების დროს ახლად შეძენილი ცოდნა უერთდება წინანდელს, მიემატება მას, ერცელდება, დიდდება და ბოლოს კი ყველა შეძენილი სწავლა რომელიმე საგნიდგან წარმოადგენს ერთს შესაფერისს მთელს.

თუ გვინდა, რომ ყველა ცოდნა მკვიდრად შეითვისოს ბავშვმა, ჩვენ უნდა ვსცდილობდეთ, არ გავანაწილოთ და მეტი ძალა არ დავატანოთ ბავშვების გონებით ძალას ძლიერ რთული პროგრამმითა; არ უნდა ვასწავლიდეთ ბავშვს ბევრ საგანს ერთბაშად, უკეთესია ზოგიერთი საგნის სწავლება სხვა დროსთვის გადაიდვას, რომ მოწაფე არ დაიქანცოს. ბევრი საგნის სწავლება ერთსა და იმავე დროს ძლიერ ასუსტებს ბავშვის სულიერ ძალას, ამიტომ უცხო ენებს არაოდეს არ უნდა ასწავლიდენ ბავშვებს იმაზედ ადრე, სანამ სამშობლო ენას არ ექნება მკვიდრი საფუძველი ჩადგმული. ბავშვებისათვის სწავლება რამდენიმე უცხო ენისა ერთად შეადგენს დიდ პედაგოგიურს შეცდომას, პედაგოგიურ ბარბაროსობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჭეშმარიტება ამ ჟამად ბევრისაგან უსაფუძვლოდ უარყოფილია. ამას უარსჰყოფენ როგორც ზოგი ჩვენი სოფლის მასწავლებლები და მათი უფროსები, აგრეთვე ბევრი ჩვენი უმეცარი დედ-მამაც, რომელნიც, ბავშვი აიდგამს ენას თუ არა—ნაცვლად თავის დედა ენაზე ტიკტიკისა, ბუნების წინააღმდეგ, ცდილობენ უცხო ენაზე დაა-წყებინონ ლაპარაკი. ამას მოყვება არა საკვირველი შედეგი—ბავშვი, როცა წამოიზრდება, ვერც დედა ენაზე ლაპარაკობს ხვირიანად და ვერც უცხო ენაზე.

ლ. ბოცვაძე.

(დასასრული შემდეგ №-ში)



ბედიის ტაძრის გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედიის ტაძარი.

(დასასრული *).

როგორც ბაქრაძის მიერ გამოცემული ზედ-წარწერა ბედიის ტაძრის ბარძიმზედ ამტკიცებს, ეს ტაძარი უნდა იყოს აშენებული მეათე საუკუნის გასულს. ახლა ეს ბარძიმი ინახება ილორის ტაძარში და ფეხი აქვს მომტვრეული. მის გარშემო აწერია შემდეგი: «წმიდაო დედა ღვთისაო მეოხ ექმენ წინაშე ძისა შენისა ამა ბარძიმისა შემომწირველთა, ტაძრისა ამის აღმაშენებელთა და საკურთხეველისა აქის შემკობთა აზხაზეთის მეფესა ბაგრატს და დედასა მისსა დედუფალს გურანდუხტს».

მეორე ხედ-წარწერა ბარძიმის ფეხის გარშემო: «ყოვლად წმიდაო ვლახჳრნისა ღვთის მშობელო მეოხ მექმენ წინაშე ძისა შენისა დღესა მას განკითხვისასა ცვალ-ფარვად ჩემდა ბედიელ მიტროპოლიტსა გერმანე ჩხეტიძესა ამინ».

ბროსეს გადმოუღია ერთი ზედ-წარწერა დასავლეთის კუთხის ქვაზედ: «წმინდაო დედაო ღვთისაო

*) იხ. „მწყემსი“-ს № 12 1893 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეოხ ექმენ გალატოზთ უხუცესსა სიმეონს, ამშენებელსა წმიდისა ამის ტაძრისა. ამინ».

სამხრით, კედელზე ბროსეს დროს ყოფილან დახატულნი სიმაღლით დადიანი გიორგი და დედა მისი მარეხი. მის გვერდით ამოუკითხავს შემდეგი ზედწარწერა ფერადი წამლითა: «დიუფალთ დიუფალი მარეხ და შვილი მისი ერისთავი და მსახურთ უხუცესი დადიანი გიორგი». ეს უნდა იყოს ლევან დადიანის შვილი, რომელიც განაგებდა სამეგრელოს მეთექვსმეტე საუკუნის გასულს. ბაგრატ მესამის გვამი წამოიღო ზვიად ერისთავმან ფანასკერტიდან და დაასაფლავა ბედიას. აქედან უნდა ვიგულისხმოთ, რომ დედოფალს გურანდუხტს და მის შვილს ბაგრატ III-ს, აფხაზეთის მეფეს, აუშენებიათ ეს ტაძარი კარის ეკკლესიად და გაუხდიათ თავის სასაფლაოდ.

ბედიის ტაძარი ფრიად შესანიშნავია თავისებურობით და თითქმის ყველა საქართველოს ტაძრებზედ უფრო ატყვია ამ ეკკლესიას უძველესი ქართული ხუროთ-მოძღვრების კვალი. გარეგანი ქანდაკი კარებზედ და ფანჯრებზე შეიცავს ქართულ გრეხილთა ნაქარგს, რომელიც თავისებურად არის დაწყობილი, შემკული და ჯერ კიდევ სვეტის ზოლებად არ გადაქმნილან. ამგვარი ხელოვნება არის ნიმუში უძველესი აზიის ხელოვნებისა, რომელიც იმ დროს აღარც ვიზანტიაში და არც დასავლეთის ევროპაში არ სცოდნიათ. ამგვარი სახეები ხელოვნებისა მხოლოდ საქართველოში შენახულა.

ბედიის ტაძრის გეგმა ჯვარის სახედ არის მოყვანილი. დასავლეთისაკენ ჰქონია შვენიერი ხუროთ-მოძღვრების გეგმაზე აგებული ფარდული (პორტიკი-სტოვა). შიგნით ორ სართულიანი ხორო, რომლის ზემო ნაწილი კამარებით უნდა ყოფილიყო შეერთებული თვით ტაძრის გუმბათთან. მას აქვს 3 სამწირველო, შუაგული ყველაზე უდიდესია. შიგნით ტაძარი ყოფილა მოხატული, ცა ჰქონია თორმეტ კუთხიანი ბოყვით შეკრული. ორს განის საკურთხეველში ორ-სართულიანი ოთახებია დატანებული. ზემო სართულის ოთახებში კიბის მიუდგმელად ვერ ავა კაცი. როგორც ეტყობა აქ ყოფილა ტაძრის სალარო და საგანძური. შიშიანობის დროს აქ უნდა შეენახათ ყოველი ძვირფასეულობა. თვით სართულში შესაველი კარი ისე იკეტებოდა, რომ უცხო კაცი ვერას შენიშნავდა. როგორც აქ დახატულ ნანგრევიდან სჩანს, ბედიის ტაძარი მეტად წამხდარა და დაშლილა დროთა ვითარების გამო. დღეს იგი შეფოთლილია სუროებით და ნანგრევზედ ხეებია ამოსული.

ხუროთ-მოძღვარს პავლინოვს დაწვრილებით შეუსწავლია მისი გეგმა, გაუზომავს და შემდეგ აღუდგენია მისი სურათი, რომელიც აქვეა დახატული. მეთექვსმეტე საუკუნეში გიორგი დადიანს და მის დედას მარეხს ეს ძველი ტაძარი შეუკეთებიათ და მისი კვალი დღესაც სჩანს აღმოსავლეთის კედელზედ, გარედან, გეგმის შეუფერებელი მოქანდაკებული ჯვარითა. ეს ჯვარი სრულებით არ ეთანხმება ტაძრის დიდებულს შენობას და ხუროთ-მოძღვრების გემოვნების წინააღმდეგია: ვახუშტის დროს მეთვრამეტე საუკუნეში ბედიის ტაძარი ჯერ კიდევ არ ყოფილა გაუქმებული.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ორის-სამის წლის აღძრულმა კითხვამ ბოლოს მიაღწია განხორციელებას.

ამ მოკლეს ხანში დაბა ყვირილას დაარსდება წიგნთ-საცავი ქართულის და რუსულის განყოფილებით. მიზნად ექნება წიგნთ საცავს — მიაწოდოს ადვილად და საშელავათო პირობებით კითხვის მსურველთ საკითხავი მასალა. იმედია ასეთ დიდ დაბაში გამართულ სამკითხველოს, გამოუჩნდება ბლომად მკითხველები და თვითონ წიგნთ-საცავიც პირნათლად დააშთობს ამ სასიამოვნო წყურვილს საზოგადოებისას. დაწვრილებით ყოველივე პირობებს და გარემოებას წიგნთ-საცავისას მსურველი გაიგებს თვით ყვირილაში ან «მწყემსის»-ს შემდეგის №№-ბიდამ.

***

რუსეთმა მიმართა ბოლგარიის მმართველებს და მოსთხოვა იმ ფულის შემოტანა, რომელიც ერგებოდა მას ბოლგარიის ოკკუპაციისათვის, ე. ბოლგარიაში გაგზავნილ ჯარით დახმარებისათვის. ეხლა გაზეთები იუწყებიან, რომ სტამბულოვი უარს ამბობს ამ ფულის გადახდაზედ და პირიქით თხოვს რუსეთს რაღაც ფულებსა. განსათავისუფლებელ ომიანობამდე 1877 წ. რუსეთში ინახებოდა, ვითომ და დიდი თანხა, ბოლგარელებში შეკრებილი და ზოგიერთ პატრიოტთაგან შეწირული. რამოდენიმე ნაწილი ამ ფულებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდეც ინახებოდა ბუხარესტის რუსულ საელჩოში. ამისათვის სტამბულოვის მმართველობამ წარადგინა ნუსხა ამ თანხისა და ამბობს, რომ ეს თანხა ბევრის წილად აჭარბებს კიდევაც რუსეთის მიერ მოთხოვნილ ფულებსაო.

***

«ივერია»-ში ვკითხულობთ: „ნება დართულია სახელმწიფო ხაზინიდამ ყოველ წლივ მიეცეს სამღვდელოებას ორას ორმოც-და-ათი ათასი მანეთი, ვიდრე მთელის იმპერიის ეპარქიების ყველა კრებულს ჯამაგირი არ დაენიშნება ხაზინიდამ. ჯამაგირი ასე განაწილდება: მღვდელს 100 მან. მაგიერ 600 მანეთი, მთავარს 80 მანეთიდგან 300 მანეთამდე, დიაკვნებს 40 მაგიერ 200 მანეთი». ამას წინეთ «ივერია»-მ უფრო მეტი დაუნიშნა სამღვდელოებას ჯამაგირებად. ვერ გაგვიგია მთავარს თუ 300 მანეთი დაენიშნება, დიაკვანი ვილა არის, რომ 200 მან. ენიშნება? სინოდის უქაზში კარგად იყო განმარტებული, თუ ვის და რამდენი დაენიშნება ჯამაგირი; მაგრამ ზოგიერთმა გაზეთებმა ამ უქაზის შინაარსი ვერ გაიგეს და კიდევ იძახიან საქართველოს სამღვდელოებას 600 მანეთამდე დაენიშნებაო. 600 მანეთი დაენიშნება რამოდენიმეს საქსარხოსოშიაც, მაგრამ იმათ კი არა, რომელთაც ცოტაოდენი აქვსთ დანიშნული, არამედ სულ სხვა პირებს და სხვა სამღვდელოებას. «ივერიის» გამოანგარიშებით თუ მართლა ამდენი ფული დაენიშნა მღვდლებს, მთავრებს და მედავითნეებს საჭირო იქნება სულ ცოტა რომ ვთქვათ ოცდა ათი მილიონი; და თუ ყოველ წელიწადს 250,000 მანეთი გამოიცა ხაზინიდამ, ასი წელიწადია საჭირო, რომ ყოველმა სამღვდელო პირმა მიიღოს აღთქმული ჯამაგირი. ზოგიერთს ჩვენს სამღვდელოებას კი ჰგონია, რომ ორ სამ წელს შემდეგ ყველა 600 მანეთს მიიღებს! იმედია ასის წლის შემდეგ გადასახადიც კარგა ბარაქიანად მოემატება სამღვდელოებას. ვინც მოითმენს ამდენ ხანს რასაკვირველია, მოესწრება რამეს.

***

2 ამ თვისას დ. დ. ღამბაშიძემ შეაოუერთა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას დროებითად ყვირილაში მცხოვრები აvეტის გიორგის ძე პოლოსოვი, სომეხ-გრიგორიანთა აღსარებისა, 26 წლისა.

***

კაცი, რომელმაც განიზრახა უწ. სინოდის ობერ-პროკურორის მოკვლა, ყოფილა სემინარიელი ელადიმერ გიაცინტოვი. იგი ივნისის 23 დილის მატარებლით მიუყვანიათ პეტერბურგში და დაუპატიმრებიათ. დამნაშავე შობიდგან არის 19 წლისა, მაგრამ უფრო მომეტებული ხნისა უნდა იყოს. იგი არის პსკოვის სემინარიის მეხუთე კლასის მოწაფე, სოფლის მღვდლის შვილი, ჰყავს ძმები; ერთი ძმა სწავლობს ამავე სემინარიაში, მეორე მასწავლებელია. ამ ძმასთან, როგორც დამნაშავემ აღიარა, იგი წაჩხუბებული ყოფილა. როცა პირველი ჩვენება ჩამოართვეს დამნაშავეს, მან სთქვა, რომ მე განზრახვა არა მქონია მომეკლა ობერ-პროკური, მხოლოდ ასე მაეჩვენათო. შემდეგ სთქვა, რომ იმან უცაბედად მოიქნია დანა, მას არ ახსოვდა, რას შერებოდა; შემდეგ დაუმატა: ძმას წაეჩხუბე, მისგან შემწეობას აღარ ველოდი და ამიტომ სრულებით უიმედოთ დავრჩი. ამიტომ განვიზრახე თავის მოკვლა, მაგრამ ვერ გავბედე, შემდეგ განვიზრახე რომელიმე მინისტრის მოკვლა. უფრო მოსახერხებლად დავინახე ობერ-პროკურორის მოკვლა. ეს დამნაშავე მარტის თვიდგან ყოფილა პეტერბურგში, სამხედრო ლაზარეთში, სადაც მისთვის მარჯვენა ფეხში გაუკეთებიათ აპერაცია. 21 ივნისს ის გამოსულა ლაზარეთიდამ, მაგრამ უჯოხოთ სიარული მაინც არ შეუძლია. როგორც სჩანს ლაზარეთშივე განუზრახავს დამნაშავეს ობერ-პროკურორის მოკვლა და ლაზარეთის მოსამსახურისათვის უყიდვინებია ის დანა, რომლითაც შეუტოვა ობერ-პროკურორს. დამნაშავეს გაუგია, რომ ობერ-პროკურორი ყოფილა „ცარსკი სელოში“, და მაშინვე წასულა იქ ორთქლის მატარებლით. აქ შეუტყვია, თუ სად სცხოვრებს ობერ-პროკურორი, და ეტლით წასულა მის ბინაზე. როცა დამნაშავე შეიპყრეს და პოლიციაში მიიყვანეს, ობერ-პროკურორი მისულა პოლიციაში და უკითხავს დამნაშავისათვის: «რას მერჩოდი, რომ მოსაკლავად მომვარდი? პირველად დამნაშავეს უარი უთქვამს და შემდეგ გაჩუმებულა და პასუხი აღარ გაუცია.

***

ცნობილი პროფესორი ვირხოვი წარსდგა ახალ რეიხსტაგის სადეპუტატო კანდიდატად. 27 მაისს, ბერლინის მეორე ოლქის ამომრჩეველთა შეკრებილებაში მან წარმოსთქვა სიტყვა, რომელსაც ამომრჩეველნი მიეგებნენ ხანგრძლივის ტაშის ცემით. პროფესორი თავის სიტყვაში ის კითხვებს შეეხო, რომელნიც აწმყო დროში პირველ კითხვად დასახა და განსაკუთრებით უმთავრესს მათგანს—სამხედრო კანონპროექტს: «პროექტის შეწყნარება უსათუოდ გაადიდებს, და ძალიანაც გაადიდებს, სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვას (ბიუჯეტს) და დააწვება კისერზე ხალხს, იმ საწყალ

ხალხს, რომელსაც ტყავი უნდა გააძროს ყოველგვარმა ახირებამ და გამოგონებამ. მარტო ერთად დაბინადრება ჯარისა მოითხოვს 102 მილიონ მარკას, გადამეტს ხარჯს. მერე, განა მილიტარიზმის მოთხოვნილება, რომ კიდევაც ნებას დაჰყვეს გერმანელი ხალხი, მარტო ამ კანონპროექტს დასჯერდება? სრულებითაც არა, ეს უძირო ქვევრია. ხმელეთის ჯარის რეორგანიზაციას მოჰყვება ფლოტის რეორგანიზაცია, რომელიც უფრო მეტს ხარჯს მოითხოვს. ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში ჯარმა შთანთქა აუარება ფული მოულოდნელ ხარჯად, სამი მილიარდი მარკა, და კიდევ შთანთქავს ეხლაც და მომავალშიაც, დასასრულიც არ ექნება... როდესაც სახელმწიფო და საზოგადოებრივის ცხოვრების საფუძვლიანი და მიუცილებელი საჭიროება მოითხოვს ხარჯს რიგიან მუშაობისათვის, მაშინ ფული არ არისო, ამბობენ, საიდამ და როგორ ჩნდება ფული ჯარისათვის?! მოსაგერებელ ომისათვის საკმარისს ჯარს კი აღარ სჯერდებიან ეხლა, პირიქით იმდენად ღონიერი ჯარი უნდათ იყოლიონ, რომ თვით მტრის მიწა-ადგილზედ შეეძლოსთ შებრძოლება. მაგრამ მართებლობას არ შეუძლია და არც ნება აქვს, არამც თუ მოსთხოვოს, არამედ მოელოდეს ხალხისაგან ომის დასაწყებად მუდამ მომზადებულს ძალას. დიდი ჯარი მუდამ მზად რომ იყოს— ეს კიდევ ვერააშორებს მხარეს ომიანობას. სამხედრო გასავალი კიდევ უფრო და უფრო იმატებს ახალ და ახალ გამოგონებათა მეოხებით. გერმანელებმა აშკარად და საბოლოოდ უნდა უარჰყონ სამხედრო კანონპროექტი და ნურც გაიელებენ იგინი აზრად, რომ ამ უარყოფის შემდეგ მმართებლობამ მიმართოს უკიდურესს და ძალდატანებით ღონისძიებას: განსაზღვროს, ანუ გააუქმოს საზოგადო უფლება".

კრებამ დასტური სცა პროფესორის ვირხოვის შეხედულებას და გადასწყვიტა ყოველივე ძალღონით დახმარებოდა ორატორის სარეიხსტაგო წარმომადგენელად ხელმეორედ არჩევას.

რედაქციის პასუხი.

<table>
<tr><td>ა ბ ი ა თ ა რ ს.</td><td>თქვენი ლექსები არ იბეჭდება.</td></tr>
<tr><td>დ. ნ. ოქრო—ვს.</td><td>თქვენი კითხვების განუმარტებლობის მიზეზი ის არ არის, რასაც თქვენ ფიქრობთ. თანხმობით და სიყვარულობით თუ რამ გაკეთდება, თორემ უკმაყოფილებით არაფერი კეთილი არ ასრულდება თქვენ შორის.</td></tr>
<tr><td>დ. პ. ჯიქიას.</td><td>საღმრთო წერილის წიგნები თფილისიდამ დაიბარეთ.</td></tr>
<tr><td>მღ. გ. დარა—ძეს.</td><td>არ გვჯერა, რომ მთავარ-დიაკონმა 300 მანეთი შესწიროს ეკკლესიას მხოლოდ ქველ-მოქმედების მიზნით. ამ ბოლო დროს რაღაცა გახშირდა ზოგიერთი დიაჩოქებისა და დიაკვნებისაგან შეწირულება 300 და 400 მანეთობით. ჩვენ ვიცით რამოდენიმე პირი, რომელთაც ვალად აიღეს ფულები და შესწირეს ეკკლესიებს. ამისთანა შეწირულება არც ღვთისაგან არის მოსაწონი და საქები და არც კაცთაგან...
იმერიის ქართველთა სავანის ბერები დიდ სიღარიბეში არიანო და როგორ შესძლეს 500 მ. ხაჭის შეწირვა?...</td></tr>
<tr><td>მღვ. ფ. ბარბაქაძეს.</td><td>მემკვიდრეობის მოწმობა მღვდელს არ შეუძლია მისცეს მთხოვნელს. ეს სამოქალაქო სასამართლოის საქმეა.</td></tr>
<tr><td>მდვდ. ი. კამკავას.</td><td>თქვენგან მოწერილი კითხვები წინეთ იყო განმარტებული და მეორეთ აღარ იბეჭდება.</td></tr>
<tr><td>თეკლათის საზოგადოების მცხოვრებ.</td><td>თქვენი წერილი შესახებ მღვდლის მხ—სა არ იბეჭდება. ღაფარული პირებისაგან მიღებულ წერილებს ჩვენ არ ვბეჭდავთ ჩვენს გამოცემაში.</td></tr>
<tr><td>დ. გ. გ—ს.</td><td>ვგონებ წიგნების რიცხვს ალემატება შემწირველთა რიცხვი. რომ ვიცოდეთ, თუ რა წიგნები შესწირეს, დავბეჭდავდით...</td></tr>
<tr><td>გრ—ლ ჩ—ს.</td><td>კარგი დაგემართოსთ, კარგი იყოს, რომ იმისთანა კეთილ-სვინიდისიანი მეოჯახენი იყვნენ შაგირდების დასაბინავებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს იშვიათია ამისთანა ოჯახები. იმედია სასწავლებლის სამმართველო ყურადღებას მიაქცევს ყველა შაგირდების ცხოვრებას კერძო ბინებზედ.</td></tr>
</table>

შინაარსი: იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში.—მწარე ფიქრები.—ვუძღვნი მოსწავლე ქართველობას (ლექსი).—ფუფუნება.—პედაგოგიური შენიშვნები სამრ. სკ. მასწავლაბელთა საყურადღებოდ.—ბედიის ტაძარი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—რედაქციის პასუხი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Доз. цензурою. Кутаисъ, 14 Іюля 1893 г.
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.